

**დიპლომატიური დისკურსის ლექსიკური თავისებურებები ადმოსავლეთის
საკითხის გამწვავების პერიოდში (თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს
საელჩოს 1880 წლის საარქივო დოკუმენტების საფუძველზე)**

ვიქტორია დიასამიძე

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: victoria.diasamidze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0008-8032-6962>*

ლეილა დიასამიძე

*ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
ელ-ფოსტა: leila.diasamidze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0006-0162-8563>*

აბსტრაქტი. წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ორი დარგის — ისტორიისა და ლინგვისტიკის ჭრილში. კვლევის მიზანსა და ამოცანას წარმოადგენს დიპლომატიური მიმოწერის კონკრეტული დოკუმენტების ლექსიკური მახასიათებლების ანალიზი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ლექსიკური შემადგენლობის თვისებების და ფორმატის შესწავლა, ასევე მისი როლისა და გავლენის განსაზღვრა ადმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტის პროცესში შესწავლილი პერიოდის დიპლომატიის ისტორიაში. ნაშრომში განისაზღვრება დიპლომატიური დისკურსის ცნება და გამოკვეთილია მისი ძირითადი მახასიათებლები. ფრანგული დიპლომატიური დისკურსის კონსტიტუტიური ნიშნების ანალიზი, რომელიც ეფუძნება ადმოსავლეთის საკითხის კრიზისული ეტაპის დიპლომატიური მიმოწერის საარქივო მასალების ტექსტებს, ცხადყოფს, რომ ლექსიკურ დონეზე დამახასიათებელია სამხედრო, იურიდიული და დიპლომატიური ტერმინოლოგიის ფართო გამოყენება. აღნიშნული გარემოება აიხსნება დასუსტებულ ოსმალურ იმპერიასზე განხორციელებული ზეწოლით, რომლის მიზანიც ბერლინის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების შესრულება იყო დეშიფრირებული და თარგმნილი.

საკვანძო სიტყვები: დიპლომატიური დისკურსი; საარქივო დოკუმენტები; ადმოსავლეთის საკითხი; „ხისტი ძალა“; დიპლომატიური მიმოწერა.

* * *

შესავალი. თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის თარგმნის პროცესში აღმოჩენილი იქნა დოკუმენტები, რომლებიც უშუალო კავშირშია არა მხოლოდ ჩემს მშობლიურ ქალაქთან, ბათუმთან, რომლის ბედი 1878 წლის ბერლინის კონგრესზე იქნა განხილული. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა საარქივო დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ადმოსავლეთის საკითხს უკავშირდება. დრამატული მოვლენები ადმოსავლეთ ევროპაში ვითარდებოდა ბერლინის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი წლის შემდეგ,

ვინაიდან მისი ზოგიერთი პუნქტი წამყვანი სახელმწიფოების მიერ, კერძოდ თურქეთის მხრიდან, არ სრულდებოდა. მნიშვნელოვნად გვესახება იმ პერიოდის არსებული ხელნაწერი საარქივო მასალები პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

საკითხის ისტორია და ლიტერატურის მიმოხილვა. აღმოსავლეთის საკითხის ქვეშ მოიაზრება ტრადიციული ტერმინი, რომელიც დიპლომატიასა და ისტორიულ ლიტერატურაში მე-18 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე საერთაშორისო წინააღმდეგობათა კომპლექსის აღსანიშნავად იქნა მიღებული. აღნიშნული მოვლენები უკავშირდება ბალკანეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ოსმალური უღლის წინააღმდეგ და ოსმალური იმპერიის დაშლის პროცესს, რომელიც მიმდინარეობდა დიდი სახელმწიფოების კონკურენციის ფონზე თურქული სამფლობელოების გადანაწილებისთვის (ავსტრიის/ავსტრო-უნგრეთის, დიდი ბრიტანეთის, პრუსიის/გერმანიის, რუსეთის, იტალიის, საფრანგეთის) (Vostotchnii vopros, 1985, ტ. I).

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ დიპლომატიური დისკურსის თეორიული საკითხები სრულყოფილად არ არის შესწავლილი (Villar, 2006, p. 108; Ceban, 2010, p. 321–328). ამავდროულად, დიპლომატიის ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს და ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან დაწყებული აღორძინების ეპოქამდე დიპლომატებსა და რელიგიურ მოღვაწეებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა (Berridge, 2002, p. 2, etc.). თეორიული კვლევების ნაკლებობა არ ნიშნავს დიპლომატიური ენის სპეციფიკისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების არარსებობას. ამგვარად, ლუკ რეიხლერის/Luc Reyhler თანახმად, თავისი ხასიათით გამოირჩევა დიპლომატიის ისტორიის ნაშრომები, ისტორიული ანეკდოტების კრებულები, დიპლომატიური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის კვლევები, დიპლომატიური დოკუმენტების პერიოდული გამოცემები ან ანთოლოგიები, აგრეთვე კოლექტიური ან ინდივიდუალური ავტორების ტექსტები, რომლებიც მათი ფუნქციის, თემის ან პერიოდის მიხედვით, ძირითადად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის განლაგებული. დიპლომატიურ მიმოწერას მიეკუთვნება დიპლომატთა მემუარები, პროცედურებისა და პროტოკოლების სახელმძღვანელოები, ცნობილი დიპლომატების მიერ შედგენილი ხელშეკრულებები, შიდასაუწყებო და უწყებათაშორისი მიმოწერა (Reyhler, 1979, pp. 11, 20). ჩვენი ინტერდისციპლინარული კვლევის ფარგლებში გამოყენებულია XIX საუკუნის ბოლოს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი საარქივო დოკუმენტები. ეს არის ოსმალური იმპერიის ელჩისა და საგარეო საქმეთა მინისტრს შორის შიდასაუწყებო მიმოწერა, რომელიც მოიცავს პირად მიმართვას, შედგენილია ამ ტიპის შესაბამისი მოთხოვნების დაცვით და დანართს — ავსტრო-უნგრეთის დელეგაციათა ორი სხდომიდან ერთ-ერთ სხდომის ანგარიშს, რომელიც გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრ ბარონ ჰაიმერლეს/Haymerlé თავმჯდომარეობით.

თანამედროვე მკვლევარები, ისევე როგორც XIX საუკუნის ნაშრომებში, დიპლომატიური დისკურსის თავისებურებებს თითქმის არც კი განიხილავენ ან ყურადღებას მხოლოდ მის სტილზე ამახვილებენ (Martens, 1822, p. 115; Berridge, 2001, p. 67). დიპლომატიის გზამკვლევებში საუკეთესო შემთხვევაში ერთი თავი ეთმობა ხოლმე დიპლომატიურ ენას, სადაც აქცენტი მის ბუნდოვანებასა და ორაზროვნებაზეა გაკეთებული (Le Goffic, 1981, p. 188; Le Goffic, 2021). კონსტანცე ვილარი/Constanze Villar მიიჩნევს, რომ დიპლომატიაში ორაზროვნება კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილია და ქმნის დისკურსული მანევრირების შესაძლებლობას ძალაუფლების სასარგებლოდ. უფრო მეტიც, გაურკვევლობა საერთაშორისო მოლაპარაკებების პირობაა, რომელიც შედგება გარიგებებისა და კომპრომისებისგან და, შესაბამისად, „კონსტრუქციული ორაზროვნება“ გარდაუვალია, რომელიც სხვადასხვა დონეზე ვლინდება: სემანტიკურ, პრაგმატულ (ხმაური ინფორმაციის წინააღმდეგ) და იურიდიულ (ოფიციალური არაოფიციალური სტატუსის წინააღმდეგ) (Villar, 2006, p. 251).

აღმოსავლეთის საკითხის ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი. აღმოსავლეთის საკითხის 1880 წლის ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი მოითხოვს იმ პერიოდის ძირითადი მოვლენების

ადწერას, როგორც კონფლიქტები ბალკანეთში, უდიდეს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები და ოსმალური იმპერიის როლი, ვინაიდან საკვლევო დოკუმენტის ყოველი წინადადების უკან დრმა ისტორიული ქვეტექსტი იმალება.

ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული მოვლენების მოკლე მიმოხილვაზე დაყრდნობით, მივიღოთ გააზრებული თარგმანი და განვახორციელოთ ტექსტების შემდგომი ანალიზი. დოკუმენტები ბატის ბუმბულით იყო დაწერილი, ხშირად — გაურკვევლადაც კი, და ამიტომ საჭიროებდა ჩვენ მიერ შესრულებულ დეშიფრაციას (Anderson, 1966, pp. 198-204).

1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით მონტენეგრომ/ Monténégro მიიღო წვდომა ზღვის სანაპიროზე და სხვა მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობები მიენიჭა. მიუხედავად დამყარებული მშვიდობისა, მონტენეგროსა და თურქეთს შორის ურთიერთობები კვლავ ევროპული დიპლომატიის ყურადღების ცენტრში რჩებოდა. ვინაიდან თურქეთი არ ასრულებდა ბერლინის ხელშეკრულების პირობებს მონტენეგროსთან დაკავშირებით (Schaefer, 1920, p. 73; Vujović, 2021). თურქეთი, კონგრესის გადაწყვეტილების შესრულების პირობის მიუხედავად, სხვადასხვა მიზეზით აჭიანურებდა ტერიტორიების გადაცემას. ამ მიზნის მისაღწევად იგი იყენებდა თურქეთის ხელისუფლების მიერ შექმნილი და მართული ალბანური ლიგის საქმიანობას, რათა ჩაეშალა ბერლინის კონგრესის პირობების შესრულება. ინგლისის ინიციატივით ავსტრო-უნგრეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ ადრიატიკის წყლებში, Dulcigno-ს სანაპიროსთან, მოაწყვეს სამხედრო გემების დემონსტრაცია, კონსტანტინოპოლის მხრიდან ტერიტორიების მშვიდობიანი გადაცემის უზრუნველსაყოფად, ბერლინის ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების თანახმად.

თუმცა პორტა თავს არიდებდა აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას, ამ ვითარებაში ინგლისმა შესთავაზა მისთვის ულტიმატუმის გამოცხადება, რომლის თანახმადაც მას სამი კვირის ვადაში უნდა დაეთმო მონტენეგრო და მისთვის განკუთვნილი რეგიონი. პორტაზე ზეწოლის საშუალებად განიხილებოდა სამხედრო-საზღვაო ძალების დემონსტრირება, რომელიც ავსტრო-უნგრეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის შეთანხმებული მონაწილეობით უნდა განხორციელებულიყო. აღსანიშნავია, რომ „ხისტი ძალის“ პოზიციიდან გამომდინარე ანალოგიური ქმედებები — ე.წ. „კანონრების დიპლომატია“ — ბერძნული საკითხის გადაწყვეტის დროსაც განიხილებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპულმა სახელმწიფოებმა კოლექტიურ საპროტესტო ნოტაში დააფიქსირეს თავისი მზადყოფნა, რათა მონტენეგროსთვის ძალისმიერი დახმარება გაეწიათ მოთხოვნილი ტერიტორიების ოკუპაციაში (Vujović, 2021, p. 120).

აუცილებელია განიმარტოს ის გარემოება, რომ ოსმალურ იმპერიაში აღნიშნულ პერიოდში შიდასაუწყებო მიმოწერა ფრანგულ ენაზე წარმოებდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ფრანგულმა ენამ საბოლოოდ ჩაანაცვლა ლათინური ენა და დაიმკვიდრა თავი ევროპასა და ევროპის ქვეყნებზე დამოკიდებულ ტერიტორიებზე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანმა ენამ.

აღნიშნულ პერიოდში ფრანგული ენა კომუნიკაციის მნიშვნელოვან საშუალებად იქცა როგორც უცხოელებთან ურთიერთობისას, ისე ქვეყნის შიგნითაც, — აღნიშნავს ბატონი ექრემ აქსოი თურქეთში ფრანკოფონიის განვითარების ეტაპების შესახებ კვლევაში ექრემ აქსოი /Ekrem Aksoy).

გარდა ამისა, იმპერიაში არსებული ენობრივი ვითარება განაპირობებდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დაწესებულებებში ფრანგული ენის გამოყენების აუცილებლობას: ოსმალური იმპერიის შემადგენლობაში შემავალ სხვადასხვა ეთნო-რელიგიურ ჯგუფს საერთო ენა არ გააჩნდათ. 1877 წლის 19 მარტს გახსნილ ოსმალურ პარლამენტში გამოიყენებოდა თექვსმეტი ენა, თუმცა, კონსტიტუციის თანახმად ოფიციალურ ენად თურქული მიიჩნეოდა. სწორედ ამიტომ, 1854–1910 წლებში საგარეო საქმეთა სამინისტროს სამუშაო ენად ფრანგული დამკვიდრდა, და ოსმალ დიპლო-

მატებსა და ამ უწყების თანამშრომლებს შორის ურთიერთობა ფრანგულ ენაზე მიმდინარეობდა. იმპერიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე დამკვიდრებული *Pax ottomana* დასავლეთის სახელმწიფოების ზეწოლის შედეგად შეიცვალა *Pax francophona*-ით (Aksoy, 2007, pp. 57–58).

კვლევის მეთოდები და მასალები. წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებულია დისკურსული ანალიზი, როგორც მეთოდოლოგიური მიდგომა, რომლის მიზანია დიპლომატიური დისკურსის ტექსტებში გამოვლენილი ენობრივი მახასიათებლების შესწავლა და ანალიზი. კვლევაში დისკურსის ანალიზის ორი ძირითადი მიდგომა გამოიყენება. პირველი ეფუძნება ენის გამოყენების ანალიზს ე.წ. სოციალურ კონტექსტთან დაკავშირებულ ტექსტებში, ხოლო მეორე მოიცავს დისკურსის კრიტიკულ ანალიზს ისტორიული და პოლიტიკური თვალსაზრისით. ამგვარად, ეს არის კვლევის მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს, ამ შემთხვევაში, წერილობითი ენის შესწავლას მის სოციალურ კონტექსტში.

ფაქტობრივ მასალად გამოყენებულია თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური არქივებიდან მიღებული ორი ფრანგულენოვანი ტექსტური კორპუსი, რომლებიც ეხება სხვადასხვა საგარეოპოლიტიკურ საკითხებს, ძირითადად კი ე.წ. აღმოსავლეთის საკითხის მოგვარების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებს და თურქეთის მიერ 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულების პირობების შესრულებას. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორიგინალი ხელნაწერი საარქივო დოკუმენტების ასლები ავტორს მიაწოდა ფრანგულიდან თარგმნის მიზნით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა, ისტორიკოსმა ბატონმა ზაურ მარგიევამ, რომელიც, სამწუხაროდ, 2021 წელს ნაადრევად გარდაიცვალა (იხილეთ კორპუსი 1, 2 ბიბლიოგრაფიაში: საარქივო დოკუმენტები).

შედეგები და დისკუსია. დიპლომატიური დისკურსის ლინგვისტური ასპექტი.

მკვლევარები აღნიშნავენ დიპლომატიური დისკურსისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს, როგორცაა ლათინური, ბერძნული და ფრანგული წარმოშობის ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენება, აბრევიატურები, მოქნილი ფორმულირებები, მაღალი სტილის გამოთქმები (რადგან დიპლომატიური დოკუმენტების ენა გავლენას ახდენს სახელმწიფოს იმიჯზე), აგრეთვე ევფემიზმები (ეგოროვ, 2013, p. 41; ტერენტი, 2015, pp. 177–178).

ამასთანავე, აღნიშნავენ, რომ სპეციალური დანიშნულების ენის, კერძოდ დიპლომატიური დისკურსის გრამატიკა და სინტაქსი ზოგადეროვნული ენის სისტემის ნიშნებს ატარებს და ხასიათდება ლექსიკური სისტემის ნომინატიური კომპონენტით (ავერბუხ, 2004, p. 16). ასევე მიუთითებენ, რომ დიპლომატიური ქვესტილი წარმოადგენს ოფიციალურ-საქმიანი სტილის ერთ-ერთ სახეობას და გამოირჩევა სპეციფიკური ნიშნებით ყველა ლინგვისტურ დონეზე (Magomedova, 2008).

დიპლომატიური მიმოწერის ქვეშ ჩვენ მოვიაზრებთ ეპისტოლარული გაცვლის სხვადასხვა ტიპის ტექსტთა კორპუსს. ერთის მხრივ, ეს არის სამინისტროს შიდა დოკუმენტები — ელჩების მიერ საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის გაგზავნილი ანგარიშები, ინსტრუქციები და მითითებები; მეორეს მხრივ - სახელმწიფოებს შორის მიმოწერა სხვადასხვა ფორმის დიპლომატიური ნოტის, მემორანდუმების, სამახსოვრო ჩანაწერების, კერძო წერილებისა და განცხადებების სახით წარმოდგენილი. ეს პრინციპულად განსხვავებული დოკუმენტები ასახავს დიპლომატიების სხვადასხვა ფუნქციას; მათი ერთობლიობა კი იწოდება ტერმინით „დიპლომატიური მიმოწერა“ (Cohen-Wiesenfeld, 2008).

დიპლომატიური დისკურსის განმარტებები ხშირად უსვამენ ხაზს მის ზოგიერთ მახასიათებელს. მაგალითად, დიპლომატიური დისკურსი სტატუსზე ორიენტირებული დისკურსია და წარმოადგენს დიპლომატიური ინსტიტუტის წარმომადგენელთა სამეტყველო ურთიერთქმედებას (Kojeteva, 2012, p. 55).

დიპლომატიური დისკურსის ქვეშ მოიაზრება დისკურსიული აქტივობა დიპლომატიურ გაცვლაში (Ceban, 2010, pp. 321–328). მიიჩნევა, რომ პოლიტიკური და დიპლომატიური დისკურსი სახელმწიფოთა პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების განცხორციელებისთვის განკუთვნილი კომუნიკაციური საქმიანობის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს (Ardaeva, 2018, p. 114). ზოგიერთი ლინგვისტი დიპლომატიურ და პოლიტიკურ დისკურსებს შორის ანალოგიას ავლებს და პოლიტიკურ დისკურსს განსაზღვრავს, როგორც ენის აქტუალურ გამოყენებას სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში (Kurtshatkina, 2010, p. 24).

კონსტანცა ვილარის/Constanze Villar აზრით, დიპლომატიური დისკურსისთვის დამახასიათებელია სამი ძირითადი ნიშანი. პირველი — დიპლომატიური კოდის სპეციალიზაცია და ლექსიკურ გამონათქვამთა ფიქსირებული ხასიათი; მეორე მახასიათებელია დიპლომატიური ორაზროვნება, რომელიც კომუნიკაციის პროცესში აღმოიფხვრება რიტორიკის, არჩეული სტრატეგიისა და პოლიტიკის მეშვეობით“; და ბოლოს, დიპლომატიური დისკურსისთვის დამახასიათებელი მესამე ელემენტია ის, რასაც ავტორი დინამიურ „ინტერსუბიექტურობას“ უწოდებს, რაც დისკურსს მნიშვნელოვან როლს ანიჭებს კომუნიკაციის სუბიექტებს შორის ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში (Villar, 2006, pp. 39-50; Lamizet, 2007, pp. 121-123).

XIX საუკუნის ფრანგულ დიპლომატიურ დისკურსს ახასიათებს პოლიტიკური, ისტორიული და კულტურული კონტექსტით განპირობებული თავისებურებები. ამ სფეროში ჩატარებული კვლევები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ მას გააჩნია როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ნიშნები. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული დიპლომატიური დისკურსის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ავსტრო-უნგრეთში თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენლისა და ოსმალური იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრის შიდასაუწყებო მიმოწერაში ლექსიკურ ჭრილშია წარმოდგენილი. ფრანგული დიპლომატიური ტექსტის ძირითად მახასიათებლებს შორის ავტორები გამოყოფენ მეტყველების კლიშირებულობას, რეფერენციული დატვირთვის მაღალ ხარისხს, სახელშემათა და სპეციალური ტერმინების სიუხვეს, გამონათქვამთა ევფემიზაციასა და მეტაფორიზაციას, რიტორიკულ ხერხებს, აგრეთვე ვალდებულების მოდალობას (ხოროშევა, სააკიან, 2023, pp. 72–84).

XIX საუკუნის ბოლოს დიპლომატიური მიმოწერა ფრანგულ ენაზე მიმდინარეობდა, მათ შორის ოსმალური იმპერიის დიპლომატებს შორისაც, რაც შემდეგი მიზეზებით აიხსნება. „XIX საუკუნეში საფრანგეთსა და ოსმალურ იმპერიას შორის არსებულმა მჭიდრო ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ურთიერთობებმა, ასევე ფრანგულის, როგორც საერთაშორისო ენის როლმა, განაპირობა მისი განხილვა „ოსმალეთის ერის“ პოტენციურ ენად. ამრიგად, XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის დასაწყისამდე ფრანგული თურქეთში ელიტარულ ენად იქცა (Aksoy, 2007, pp. 57–66).

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სწორედ საფრანგეთმა მოახდინა კულტურული გავლენა თურქეთზე ოსმალეთის იმპერიის დაცემისა და დაშლის პერიოდში. ოსმალეთის თურქებმა, ხმელთაშუა ზღვისა და ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარების შემდეგ, საბოლოოდ გადაწყვიტეს დასავლურ ცივილიზაციაში ინტეგრირება, რომელსაც ისინი საფრანგეთის მეშვეობით იცნობდნენ, ან „ფრანგული ფანჯრიდან“, როგორც ამას თურქეთში უწოდებდნენ. ფრანგული ენა თურქეთში ფაქტობრივად მეორე ენად იქცა, და ეს მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომამდე გაგრძელდა (Inal, 1988, ტ. IV). გარდა ამისა, აქ საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებმაც ითამაშა თავისი როლი: საფრანგეთი, როგორც მეორე რანგის სახელმწიფო (დიდ ბრიტანეთთან შედარებით), და დასუსტებული ოსმალეთის იმპერია იძულებული გახდნენ მოკავშირეობა დაეწყოთ, რადგან მათი საერთო მტერი ავსტრიის დინასტია იყო (Aksoy, იქვე). თავისი როლი ეკონომიკურმა ფაქტორმაც ითამაშა: ოსმალეთის იმპერიასა და ევროპას შორის მთელი ვაჭრობის სამი მეხუთედი საფრანგეთზე მოდიოდა (Bağış, 1985, pp. 43-52; Groc & Çağlar, 1985, ტ. XIV-XV).

შიდა ფაქტორმაც ითამაშა როლი, რადგანაც თურქი დიპლომატები ერთმანეთში ფრანგულ ენაზე საუბრობდნენ. ფაქტია, რომ ამ პერიოდში ფრანგული ენა არა მხოლოდ უცხოელებთან, არამედ ქვეყნის შიგნით კომუნიკაციის საშუალებად იქცა. იმპერიის შემადგენლობაში შემავალ სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს საერთო ენა არ გააჩნდა. მსგავსი პრობლემა წარმოიშვა, მაგალითად, 1877 წელს გახსნილ ოსმალეთის პარლამენტში. კონსტიტუციის თანახმად, თურქული ოფიციალური ენა იყო, მაგრამ ასამბლეა თექვსმეტ ენას იყენებდა, დიალექტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. იმპერიაში არსებული ენობრივი ვითარება გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებებში ფრანგული ენა გამოიყენებოდა. 1854–1910 წლებში საგარეო საქმეთა სამინისტროს სამუშაო ენა ფრანგული იყო, რომელიც გახდა სწავლების, მეცნიერებისა და პრესის ენა. ოსმალეთის დიპლომატები და ამ სამინისტროს თანამშრომლები ფრანგულად საუბრობდნენ, ვინაიდან პორტას მიერ ევროპიდან დანერგილი თანასწორობის პრინციპის საფუძველზე თურქული ენის არმცოდნე ქვეშევრდომებსაც ჰქონოდათ საჯარო სამსახურში დასაქმების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა დიდი სახელწიფოების დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთის, ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიას შორის ინტერესთა დაბალანსებასა და ურთიერთშეთანხმებას, ვინაიდან თითოეულ მათგანს გააჩნდა საკუთარი სტრატეგია ოსმალური ტერიტორიების მიმართ. ბალკანეთში საფრანგეთი საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურ როლს არ ასრულებდა. მისი კაბინეტი, რომელიც ძირითადად ბრიტანულ პოლიტიკას ფარვატერად მიჰყვებოდა, ამავდროულად თავს იკავებდა იმ სამხედრო-საზღვაო დემონსტრაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომელსაც დაჟინებით მოითხოვდა აღმირალი ჟორეგიბერი//Jaureguiberry: „მინისტრი მიიჩნევს, რომ მიმდინარე სამხედრო-საზღვაო დემონსტრაცია უნდა შეჩერდეს; საგარეო საქმეთა პოლიტიკური დირექტორის, დე კურსელის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრს. აღმირალი ჟორეგიბერი კი თვლის, რომ მიმდინარე ოპერაცია არ უნდა შეწყდეს“ (Jaureguiberry, n.d.). მოვლენათა ქრონოლოგიის აღდგენაში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია საფრანგეთის არქივებში დაცულმა დოკუმენტებმა.

თავდაპირველად 1880 წლის 22 აგვისტოს საფრანგეთმა პორტას შესთავაზა Dulcigno დაუყოვნებლივი გადაცემა. თუმცა, მოგვიანებით საფრანგეთმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ძალის გამოყენებაში, რასაც ითვალისწინებდა ე.წ. „მარტივი“ სამხედრო-საზღვაო დემონსტრაციის პროექტი“. აღნიშნული პოზიცია დაფიქსირებულია დიდი ბრიტანეთის საელჩოს საგარეო საქმეთა განყოფილების 1880 წლის 27 აგვისტოს განცხადებაში. ამ ინიციატივას წინ უსწრებდა 1880 წლის 25 აგვისტოს ინგლისის დედოფალ ვიქტორიას პირადი მიმართვა სულთნისადმი, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ინგლისის დედოფალს გააჩნდა სამხედრო მოქმედებების დაწყების გამოცხადების უფლებამოსილება. 1880 წლის 30 აგვისტოს თურქეთი პასუხობს 3 აგვისტოს კოლექტიურ საპროტესტო ნოტას მონტენეგროს გადაცემასთან დაკავშირებით. 2 სექტემბერს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიდ ბრიტანეთს გადასცა თავისი შეზღუდვები სამხედრო-საზღვაო ძალების დემონსტრაციის თაობაზე, რომელიც იმართებოდა აღმირალ ლაფონის/Lafont ხელმძღვანელობით. საბოლოოდ, 4 სექტემბერს გაიცა ინსტრუქციები გაერთიანებული სამხედრო-საზღვაო ძალების აღმირალეებისთვის, რომლებიც Dulcigno-ს სანაპიროსთან იყვნენ განლაგებული. მოვლენები 1880 წლის 15 სექტემბერს გაგრძელდა, როდესაც კონსტანტინოპოლში გადაცემული იქნა კოლექტიური საპროტესტო ნოტა. ამგვარად, ერთ დღის განმავლობაში, 24 სექტემბერს, პორტას გადაეცა მეორე ნოტა — ამჯერად უკვე „დაუყოვნებლივ“. ამასთან, Lord Granville აცხადებს, რომ “პორტას მიმართ საჭიროა მუქარის ხასიათის რიტორიკის გამოყენება“ (Idem).

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური დისკურსის ფარგლებში კოლექტიური საპროტესტო ნოტა წარმოადგენს მთავრობის მიერ გამოგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც განსაკუთრებულ

ყურადღებას მოითხოვს და ადრესატისგან სავალდებულო პასუხს გულისხმობს. დიპლომატიურ პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები, როდესაც ნოტა ერთობლივად რამდენიმე სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ იგზავნება. საელჩოთა ჯგუფის მიერ გაგზავნილი კოლექტიური ნოტა განიხილება, როგორც დემარში და ზეწოლის მცდელობის განხორციელება. მის თავიდან ასაცილებლად, ასევე კოლექტიური დემარშის ბრალდების თავიდან ასაცილებლად, არსებობს იდენტური ნოტების გაგზავნის ალტერნატიული ფორმა (El Protocolo. n.d.), თუმცა, ამ მეთოდის გამოყენება აღმოსავლეთის კრიზისის ამ ეტაპზე ევროპულმა სახელმწიფოებმა არ ჩათვალეს აუცილებლად.

განვიხილოთ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტები, სადაც ასახულია ევროპის ქვეყნების ოფიციალური პოზიცია ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით ბერლინის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტში თურქეთის ელჩმა ავსტრო-უნგრეთში თავის წერილს დაურთო ავსტრო-უნგრეთის ორივე კომისიის სხდომების ხელნაწერი პროტოკოლები. სტატიის მოცულობის შეზღუდვიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ წარმოდგენილია ქრონოლოგიურად უფრო ადრეული ვენაში ჩატარებული ავსტრიის საგარეო საქმეთა კომიტეტის დელეგაციის სხდომის ოქმი. ავსტრო-უნგრეთს ასევე ჰქონდა საკუთარი ინტერესები აღმოსავლეთის საკითხში, განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის მიმართ სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებით და, 1880 წელს აქტიურად მონაწილეობდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში. ავსტრო-უნგრეთი ისწრაფვოდა ბალკანეთში საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად და მნიშვნელოვანწილად ორიენტირებული იყო რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებაზე.


ავსტრიის საგარეო საქმეთა კომიტეტის დელეგაციის სხდომა ვენაში 1880 წლის 27 ოქტომბერს გაიმართა, მას თავმჯდომარეობდა მთავარი ორატორი — ავსტრო-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბარონი Haymerlé. სხდომის პროტოკოლი (კორპუსი 2) შეიცავს მომხსენებლის de Plenerის და კომისიის წევრების გამოსვლების მოკლე აღწერას, რომლებიც შეეხებოდა ევროპის წამყვან სახელმწიფოთა მიერ სამხედრო ხომალდების დემონსტრაციის გადაწყვეტილების მიღებას მონტენეგროს/ Monténégro სანაპიროსთან, ასევე სხვა საკითხების განხილვას, რომლებიც ბერლინის ხელშეკრულების შესრულებასთან იყო დაკავშირებული. სამი დღის შემდეგ, 1880 წლის 30 ოქტომბერს, გაიმართა უნგრეთის დელეგაციის სხდომა, სადაც წევრებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ბალკანეთში დაძაბული სიტუაციის განმუხტვის შესახებ. ავსტრო-უნგრეთის ორივე სხდომის ანგარიში, თურქეთის იმპერიის ელჩის წერილთან ერთად გადაეცა პორტას სასულთანოს რეჟიმში cito, უნგრეთის მეორე კომისიის დელეგატების სხდომიდან ერთი დღის შემდეგ განხორციელებული გადაცემა კი ხაზს უსვამს და მიუთითებს მათი დოკუმენტების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიპლომატიური მიმოწერის მხოლოდ მცირე ნაწილია, სადაც საერთო რაოდენობის 567 ერთეულიდან ერთი წლის განმავლობაში (1879 წლის 31 დეკემბრიდან 1880 წლის 7 დეკემბრამდე) მხოლოდ საფრანგეთის დოკუმენტები ორ ტომს შეადგენდა (*Affaires étrangères*, 1880 nn. 1,2). ჩვენ მიერ შესწავლილი დოკუმენტები დათარიღებულია 1880 წლის 1 ნოემბრით, ხოლო 26 ნოემბერს თურქეთმა დატოვა აღბანური ქალაქი Dulcigno/Ulcinj, რომელიც პორტად იყო გადაქცეული ჯერ კიდევ ორი წლით ადრე აღწერილ მოვლენებამდე. შედეგად, მონტენეგროს ჯარები შევიდნენ Dulcigno-ში. სამ დღის შემდეგ კი დაიკავეს პორტის მიმდებარე მთელი რეგიონი (Vujovic, 2021, pp. 109-142).


წარმოგიდგინთ ავსტრო-უნგრეთში თურქეთის იმპერიის ელჩის წერილის ქართულ თარგმანს, განკუთვნილი თურქეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის (აქ და შემდგომში – ავტორის თარგმანი ფრანგულიდან).

კორპუსი 1. თარგმანი: „ვენა, 1880 წლის 1 ნოემბერი. მის უდიდებულესობას, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის სულთანის საგარეო საქმეთა მინისტრს.

ბატონო მინისტრო, ახლახან მივიღე ბუდაპეშტიდან ჩვენი გენერალური კონსულის მიერ გამოგზავნილი თანდართული რაპორტის ორიგინალი, რომელშიც ბატონმა ფერიდუნ-ბეიმ/Feridunbey წარმოადგინა ანგარიში უნგრეთის დელეგაციის წევრების მიერ ერთი დღით ადრე გამოთქმული მოთხოვნების შესრულების შესახებ (ბერლინის ხელშეკრულების ფარგლებში), მონტენეგროს, საბერძნეთის საკითხთან დაკავშირებით, ასევე ბერლინის ხელშეკრულების ფარგლებში სხვა პირობების შესრულების შესახებ. აღნიშნულ ანგარიშში ასახულია ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ სხვადასხვა მოთხოვნებზე გაცემული პასუხები. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა, თქვენო აღმატებულება, ხელმოწერა“(Ambassade Impériale Ottomane, 1880).



კორპუსი 1



კორპუსი 2

ავსტრიული დელეგაციის კომიტეტის სხდომის ანგარიშში, ბერძნულ და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული დებატების გამოტოვებით, შეჯერლეთ აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ ყველაზე საჩვენებელ გამოსვლებზე, რომელიც აღმოსავლეთის საკითხს ეხება:

კორპუსი 2. თარგმანი: „ვენა, 1880 წლის 27 ოქტომბერი. ავსტრიის დელეგაცია. საბიუჯეტო კომისიის 26 ოქტომბრის სხდომა. დელეგატი, ბატონი de Plener, წარადგენს საგარეო საქმეთა მინისტრის ბიუჯეტთან დაკავშირებულ მოხსენებას. საერთო დისკუსია იწყება ამ დეპუტატის მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი დასმული შეკითხვით, რომელიც შეეხება როგორც მთავრობის ქმედებებს ბერძნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე მის პოზიციას მონტენეგროს/Monténégro საკითხთან დაკავშირებით. საგარეო საქმეთა მინისტრი, ბარონი Haymerlé, თავდაპირველად პასუხობს ბოლო შეკითხვას: „მონტენეგროს/Monténégro საკითხის მოგვარებისთვის არ არსებობს და ვერც იარსებებს მოქმედების სხვა პროგრამა, გარდა ბერლინის ხელშეკრულების პირობების შესრუ-

ლებისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ — ხელშეკრულების მუხლების შესაბამისად დიდ სახელმწიფოთა მიერ ერთსულოვნად მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებისა“. შესაბამისად, პრინციპულად ყველა სრულ თანხმობაში იყო და, სავარაუდოდ, საკითხი უფრო მისი შესრულების ფორმას ეხებოდა, ვიდრე შეხედულებათა შესაძლო განსხვავებებს. თუმცა გადაწყვეტილება თავისთავად უკვე მოცემულია ბერლინის ხელშეკრულებაში — საბოლოოდ ორ ხალხთა შორის საზღვრის ხაზის დადგენაში, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთთან მტრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ.

შემდეგ მინისტრმა განიხილა ეტაპები, რომლებიც *Dulcigno*-ს საკითხმა გაიარა „წითელი წიგნის“ დასრულებისას. მის მიერ კონსტანტინოპოლში წარმოდგენილი ავსტრო-უნგრეთის საელჩოს ტელეგრაფული რაპორტები, ასევე, ავსტრო-უნგრეთის რწმუნებულის რაპორტები *Cettigné*-ის საქმეში მიუთითებენ იმაზე, რომ პორტას მხრიდან *Dulcigno*-ს დათმობის უდავოდ სერიოზული განზრახვის შემთხვევაშიც კი, მისი სწრაფი განხორციელება, რომელიც მიმდინარე თვის 21 რიცხვიდან 28 რიცხვისთვის იყო დაგეგმილი, თურქი კომენდანტის თხოვნის გამო დღემდე ვერ განხორციელდა. ეს მოთხოვნები არ შეესაბამება კონსტანტინოპოლიდან მიღებულ წესდებებს და მონტენეგროს მხრიდან გამოსატულ სიფრთხილეს, გადაჭარბების გარეშე, ნათლად ასახავს. სამხედრო-საზღვაო ძალების დემონსტრაცია დასრულდება მაშინვე, როგორც კი *Dulcigno* მართლაც გადაეცემა *Monténégro*-ს, ან კიდევ მხოლოდ თურქეთის მხარე დატოვებს და მონტენეგროს მოსახლეობა დაუყოვნებლივ არ დაიკავებს ამ ტერიტორიას.

დელეგატი *Demel* ითხოვს განმარტებებს ავსტრიული პოლიტიკის ტენდენციების შესახებ აღმოსავლეთში: ბარონი ჰაიმერლუ: „რამდენად მოკლეა შეკითხვა, იმდენად გრძელი იქნება პასუხიც (დარბაზში ადფრთოვანება და მოწონება სუფევდა). იმ დონემდე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმ ვითარებაში, რომელიც პატივცემული დელეგატისთვის სასურველი და მისაღები იქნებოდა. „თუნდაც კერძო პირს, მით უმეტეს მინისტრს, არ შეუძლია გონივრულად განჭვრიტოს მომავალი მოვლენების განვითარება და წინასწარ განსაზღვროს, რა პოზიციის დაცვას აპირებს მომავალში შესაძლო შემთხვევითობების წინაშე“.

თურქეთის ძალაუფლების შენარჩუნებასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე მინისტრმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს დეზორგანიზაციისა და დაშლის თაობაზე საუბარი ძალიან მარტივია. ის, ვინც მომაკვდავ თურქეთს ხედავს, უნდა დაეთანხმოს, რომ ის უკვე საკმაოდ დიდი ხანია „კვდება“. ჩვენი ინტერნაციონალური *Busbeck* 1650 წელს უკვე აცხადებდა, რომ თურქეთი დაშლის პროცესში იმყოფებოდა.

თურქეთმა თანდათან დაკარგა ალჟირი, ტუნისი, საბერძნეთი, ყირიმი, სერბეთი და რუმინეთი, თუმცა კვლავ შეუძლებელია განისაზღვროს, დაიწყო თუ არა მისთვის დაშლის პერიოდი და რომელი მომენტიდან? ნებისმიერი პროგნოზი მისი შესაძლო დაშლის შემთხვევაში, ნაადრევი იქნებოდა. თურქეთის შენარჩუნება მისი დავიწროებული საზღვრებით იყო კონგრესის მთავარი მიზანი. ეს შენარჩუნება სასურველი უნდა იყოს ჩვენთვის, ისევე როგორც სხვა დიდი სახელმწიფოებისთვისაც და არა თავად თურქეთის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე (...).

დელეგატი *Bareuther* დაინტერესებულია, დაიწყო თუ არა უკვე გერმანიასთან ერთობლივი მოლაპარაკებები და არსებობს თუ არა მომავალში გერმანიასთან საბოლოო კომერციული შეთანხმების დადების იმედი. ამ საკითხთან დაკავშირებით ორატორს სურს კიდევ ერთი, წმინდა პოლიტიკური ხასიათის საკითხი დაამატოს. გერმანიასთან ახალი შეთანხმების კარგად გასაგებად, თქვა მან, - მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა ინსტრუქციები მიეცათ ამ საკითხთან დაკავშირებით პორტაში ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენლებს და, კერძოდ, აქვს თუ არა ავსტრიული ესკადრილიის მეთაურს, რომელიც გაერთიანებული ფლოტის შემადგენლობაში შედის, ბრძანება იმოქმედოს გერმანული ესკადრილიის მეთაურთან შეთანხმებულად. საგარეო საქმეთა მინისტრი: (...) კითხვაზე, იმოქმე-

დებდნენ თუ არა ავსტრია-უნგრეთი და გერმანია შეთანხმებულად აღმოსავლეთთან დაკავშირებულ ყველა გადაუჭრელ საკითხზე, განსაკუთრებით კი სამხედრო-საზღვაო ძალების დემონსტრირებასთან დაკავშირებით, მინისტრმა დადებითად უპასუხა. ამ მიმართულებით ქმედებები აბსოლუტურად ერთსულოვანი იქნება.

ადგილზე მყოფი ცალკეული კორესპონდენტები/„Correspondance particuliere“ მიმდინარე მოვლენების საერთო სურათს ავსებენ: „17ოქტომბერს (1880წ) Scuvari-იდან, იუწყებიან. უკვე რამდენიმე დღეა, დიდი მეჩეთის ეზოში საჯარო შეხვედრები იმართება, რომლებზეც თავად Riza-Pacha და განსაკუთრებით Osman Pacha, ასევე Hodo Pacha, რომელიც ახლახან აირჩიეს Liva-ში, ცდილობენ მთელი თავიანთი გავლენა მოახდინონ წესრიგის აღდგენაზე“.

გუმინ, ერთ-ერთ ასეთ საჯარო შეხვედრაზე, Hodo Pacha-მ მთელი თავისი მჭევრმეტყველება გამოიყენა, რათა დაერწმუნებინა თანამემამულეები Montenegro-ს მაცხოვრებლებისთვის Dulcigno-ს მშვიდობიანი გზით გადაცემის აუცილებლობაში. მისი ხმა სამარისებურ სიჩუმეში იქნა მოსმენილი და ისინი მძიმე შთაბეჭდილების ქვეშ გაიფანტნენ. მართლაც, Dulcigno და მისი მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებელ ალბანელებში სასოწარკვეთილების და სულით დაცემის ყველა უტყუარი სიმპტომი აშკარა იყო.

პორტას პოზიცია ლიგას ართმევს ალბანელებისთვის დულჩინოს შენარჩუნების ყოველგვარ იმედს. კარგად ინფორმირებული ხალხი ირწმუნება, რომ ასობით იმედგაცრუებული ალბანელი ტოვებს Mazura Planina-ს და Dulcigno-ს პოზიციებს, უკან იხევს თავის სოფლებში. ლიგის მიერ აქ შექმნილი კომიტეტი თითქმის დაშლის პირასაა. მისი ოთხი წევრი, მათ შორის მოუსვენარი Daud Effendi შეხვედრებს ადარ ესწრება. Riza Pacha კი პირიქით, წინ მიიწევს და უკვე დღეს შესაძლებელია იწინასწარმეტყველო დულჩინოში მოვლენების შემდგომი მსვლელობა.

Bedri Bey, Riza Pacha-ს ადიუტანტი, გაემგზავრა Rjeka-ში, რათა Micho Matanovitch-თან განეხილა პორტას კაპიტულაციის ფორმები და დეტალები. უდავოა, რომ ამ საკითხში ჯერ კიდევ ბევრი სირთულის გადალახვა იქნება საჭირო. თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელია საბოლოო დათმობა, რომელიც ჯერ კიდევ განხორციელების პროცესშია, რათა საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივიდნენ“.

გატარებული ლექსიკური ანალიზისა და წარმოდგენილი ტექსტური კორპუსების რეალების განსაზღვრის შედეგად, გამოიკვეთა მათი შემდეგი თავისებურებები. ჩვენ მიერ განხილული ზოგიერთი ისტორიული რეალობა, საჭიროებს ცალკეულ ახსნა-განმარტებას და ინტერპრეტაციას. „მაგალითად, როდესაც საუბარია მინისტრის მიერ მოხსენიებულ „წითელ წიგნზე“ «Le ministre fait ensuite un exposé des phases qu'a traversées la question de Dulcigno depuis que le Livre rouge est terminé» (Ambassade Impériale Ottomane, 1880 a).

თარგმანი: „შემდეგ მინისტრმა ისაუბრა იმ ფაზებზე, რომლებიც განვლო Dulcigno-ს საკითხმა „წითელ წიგნზე“ მუშაობის დასრულების დროიდან მოყოლებული“. ეგრეთწოდებული „ფერადი წიგნები“, რომლებსაც ეს სახელი მუდმივი ყდის ფერის გამო შეერქვა, პირველად გაჩნდა ინგლისში XVII საუკუნეში, ხოლო ავსტრია-უნგრეთში წითელი წიგნები პირველად გამოჩნდა 1868 წელს. ისინი წარმოადგენს მთავრობის გამოცემების თემატურ და სხვა პოლიტიკური დოკუმენტების კრებულებს, და როგორც წესი, ოფიციალური ხასიათისაა (Austria. Bundesministerium ...1868 ; Hungarian Red Book, pp. 16–40. Austro-Hungarian Red Book, 1915).

ლექსიკური შემადგენლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ დიპლომატიურ ლექსიკასთან ერთად ტექსტებში აქტიურად გამოიყენება იურიდიული და სამხედრო ტერმინოლოგია როგორცაა *chargé d'affaires* — საქმეთა რწმუნებული და *commandant* — გემის კაპიტანი, მეთაური: «Il donne lecture des rapports télégraphiques de l'ambassadeur de l'Autriche - Hongrie à Constantinople ainsi que **du chargé**

d'affaire autriche - hongrois à Cettigné qui établissent que s'il n'y a plus guère à douter de la sérieuse intention de la Porte de céder Dulcigno, la prompte exécution de ce dessein promise le 21 de ce mois pour le 28 n'a pu s'effectuer jusqu'à présent par suite des demandes du commandant turc qui ne concordait pas entièrement avec les instructions qu'il avait reçu de Constantinople et par suite d'une circonspection pas trop exagérée de la part du Monténégro».

განსახილველი ტექსტის შემდეგ წინადადებაშიც გამოყენებულია სამხედრო ლექსიკა: *demonstration navale/სამხედრო-საზღვაო ძალების დემონსტრირება; évacuer/ევაკუირება, ტერიტორიის დატოვება; l'occupation de ce territoire/ოკუპაცია ტერიტორიები: «La démonstration navale prendrait fin dès que Dulcigno serait remis effectivement au Monténégro ou évacué seulement par les Turcs sans que les Monténégrins aient procédé aussitôt à l'occupation de ce territoire».*

ლათინიზმები ასევე დიპლომატიური დისკურსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ მას შემდეგ, რაც ლათინურმა ენამ დაკარგა საერთაშორისო ენის სტატუსი; მაგალითად, *status quo* — არსებული მდგომარეობა, ისევე როგორც კომერციულ-იურიდიული ტერმინოლოგია *traitement douanier* — საბაჟო რეჟიმი (საქონლის გატარების პროცედურა/რეჟიმი): *«En fait c'est le status quo depuis la conclusion du traité de Berlin a été maintenu en Serbie par rapport au traitement douanier des marchandises importées d'Autriche».*

საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა შეიცავს ანტონიმური გამოთქმების ანტითეზას, რომელიც გამოყენებულია როგორც ეფექტური ორატორული საშუალება: *“courte ... question/longue ... réponse”*; *«Le baron Haymerlé: Aussi courte qu'est la question, - aussi longue serait la réponse».* ოპონენტის მიმართ გამოყენებული გადამეტებული ზრდილობა ირონიულ ელფერს იძენს და დისკურსულ დონეზე ნეგატიური ჰიპერბოლის სახით შეიძლება განიმარტოს როგორც ნეგატიური ჰიპერბოლა: *«Si tant est qu'elle fût possible dans le sens que désire l'honorable délégué».* შემდგომ გამოსვლაში იკვეთება კონტექსტუალური ანტონიმია, სადაც ბარონი უპირისპირებს *un particulier/კერძო პირს* და მინისტრს/*un ministre*, როგორც ოფიციალურ პირს, რომელიც ფართო უფლებამოსილებას ფლობს: *«Pas même un particulier et encore moins un ministre ne pourrait raisonnablement dire d'avance quel sera le futur développement des choses et quelle attitude il compte observer en présence des éventualités de l'avenir».*

სხვადასხვა სახის ლათინიზმებთან ერთად (*status quo, substitisées <substituere, ლათ.*), საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლაში გვხვდება კათოლიკური რელიგიური ტერმინოლოგიაც, რომელიც გამოიყენება ინტერნუნციუსის, პაპის ელჩის თანამდებობის აღსანიშნავად, ვინაიდან დიპლომატიური ფუნქცია XIX საუკუნემდე რელიგიური მოღვაწეების პრეროგატივას წარმოადგენდა. ასე მიუთითებს მინისტრი ინტერნუნციუსის განცხადებაზე თურქეთის შესახებ: *«Notre internonce Busbeck annonçait déjà en 1650 de Constantinople que la Turquie se décomposait».* ამ თანამდებობის შესახებ ბმული მოცემულია ენციკლოპედიურ ლექსიკონში Hachette: *internonce/ « celui qui fait fonction de nonce auprès d'un Etat»* (Dictionnaire Hachette Encyclopédique Illustré, 1999, p. 973).

დიპლომატიური მიმოწერისთვის დამახასიათებელია საკუთარი სახელებისა და ტოპონიმების ხშირი გამოყენება, შესაბამისად, ავსტრო-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლაში ვხვდებით ტოპონიმს *Portes de fer / „რკინის კარიბჭე“*. აღნიშნული ტოპონიმი აღნიშნავს ცნობილ მთიან გასასვლელს — „რკინის ჭიშკარს“ (სერბ. *Берданска კлисурა*, რუმ. *Porțile de Fier*), დუნაის ხეობას კარპატებისა და ბალკანეთის მთათა სისტემებს შორის (Éditions Larousse, *Portes de Fer*).

ხუთ მილიონწლიანი რელიქტური კანიონი რამდენიმე ათწლეულის წინ გარდაიქმნა ხეობად და გახდა ბუნებრივი საერთაშორისო საზღვარი სერბიასა და რუმინეთს შორის, აღწერილ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, კერძოდ 1878 წლიდან (Karakteristika reki dunaj, n.d.).

თუმცა ბარონ ჰაიმერლეს გამოსვლიდან ჩანს, რომ ორი წლის შემდეგაც, 1880 წელს, საზღვრების დადგენის საკითხი კვლავ ღია რჩებოდა. ამიტომ იგი კვლავ სთავაზობს ავსტრო-უნგრეთის მთავრობას, გაგზავნოს ადგილზე შერეული შემადგენლობის კომისია, რომელიც ადგილზე უზრუნველყოფდა ყველა საჭირო ფორმალობასა და პროცედურას საკითხის საბოლოო გადაწყვეტისთვის: *«Par rapport aux « Portes de fer » le ministre déclare que déjà en août le Ministère des affaires étrangères a adressé de nouveau pour gouvernement autrichien est hongrois, l'invitation d'envoyer sur les lieux une commission mixte en vue de la fixation définitive des modalités (იურიდიული ტერმინი) à suivre pour la solution de cette question».*

საკითხი *Portes de fer* მეორედ იქცა განხილვის საგნად, როცა დეპუტატმა გესმა /Guess ეს შეკითხვა ავსტრიული კომისიის სხდომაზე წამოჭრა. განხილვის ცენტრში იყო „რკინის ჭიშკრის“/ *«Portes de fer»* გარშემო შექმნილი მდგომარეობის დარეგულირება: *«M. Guess interpelle le ministre par rapport à l'état des choses sur le bas Danube et cela en ce qui concerne la démolition des forteresses du Danube, les navires de guerre entretenus par la Bulgarie sur le Danube, enfin la régularisation des «Portes de Fer» laquelle à son avis aurait été confiée non pas à une des moitiés de l'Empire mais à la Monarchie tout entière».*

გთავაზობთ თარგმანს: მისტერ გესმა შეკითხვით მიმართა მინისტრს ქვედა დუნაის მდგომარეობის შესახებ, კერძოდ: დუნაის ციხესიმაგრეების განადგურების შესახებ, ბულგარეთის მიერ დუნაიზე შემოყვანილი სამხედრო გემების შესახებ და ბოლოს — „რკინის ჭიშკრის“ („Portes de fer“) დარეგულირების საკითხზე, რომელიც მისი აზრით, არ უნდა დაეკისრებინათ მხოლოდ ნახევარი იმპერიისთვის, არამედ მთლიანი მონარქიისთვის“.

როგორც ჩანს საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხიდან, ეს საკითხიც კვლავ საკითხთა წრეს განეკუთვნებოდა: *«Le ministre des Affaires étrangères fournit relativement à la démolition de forteresses du Danube stipule dans le traité de Berlin des renseignements détaillés sur les travaux qui ont déjà été exécuté à cet égard. Il ajoute que lorsqu'on avait pressé la Bulgarie d'accélérer la démolition, le gouvernement bulgare c'était excusé en alléguant l'insuffisance des moyens que l'État pouvait affecter à cette destination, (...) Du reste le ministre continuerait à consacrer la plus grande attention à cette affaire, afin que là aussi les dispositions du traité de Berlin fussent exécutées».*

თარგმანი: „საგარეო საქმეთა მინისტრმა წარუდგინა დეტალური ინფორმაცია დუნაის ციხესიმაგრეების დანგრევის შესახებ, რომელიც ბერლინის ტრაქტატით იყო გათვალისწინებული. მან დასძინა, რომ როდესაც ბულგარეთზე განხორციელდა ზეწოლა, რათა დაჩქარებულიყო დუნაის ციხესიმაგრეების დანგრევა, ბულგარეთის მთავრობამ მიზეზად მოიყვანა სახელმწიფოს მიერ ამ მიზნებისათვის გამოყოფილი არასაკმარისი რესურსები. გარდა ამისა, მინისტრი გააგრძელებს ამ საკითხის განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლას, რათა ბერლინის შეთანხმების დებულებები აქაც სრულად განხორციელდეს“.

„გარდა ამისა, საკითხის განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლის აუცილებლობა სრულიად აიხსნება იმიტაც, რომ დუნაის წყლის გზა უმეტესწილად წარმოადგენდა სატრანსპორტო მაგისტრალს ჯერ კიდევ პორტას მმართველობის დროს, რაც ნათელს ჰფენს იმ გარემოებას, რის გამოც თურქეთს არ სურდა საკუთარი პოზიციების დათმობა რეგიონში (Dunaiskaya komissiya, 2004).

ამ დაპირისპირებაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის საკითხის კონტექსტში, სამხედრო ტერმინოლოგია მრავლად გამოიყენებოდა დიპლომატიურ რიტორიკაში საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტისას. ეს თავის მხრივ, პრობლემის გადაჭრის მკაცრ მეთოდებს, სამხედრო ძალის დემონსტრირებას გულისხმობდა: *«Pour bien se rendre compte de notre entente avec l'Allemagne, ... il importerait de savoir quelles instructions ont été données à cet égard à nos représentants diplomatiques*

auprès de la Porte et surtout si le commandant de l'escadre autrichienne faisant partie de la flotte combinée, a l'ordre d'agir de concert avec le commandant de l'escadre allemande».

თარგმნი: „გერმანიასთან ჩვენი ურთიერთგაგების სრულად გასაგებად.... მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის ცოდნა, თუ რა ინსტრუქციები მიეცათ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენლებს პორტაში და, კერძოდ, აქვს თუ არა ბრძანება ავსტრიის ესკადრილის მეთაურს, შემავალი გაერთიანებული ფლოტის შემადგენლობაში, იმოქმედოს გერმანული ესკადრილის მეთაურთან შეთანხმებულად“. შემთხვევითი არ იყო ინგლისისგან ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და იტალიის გაერთიანებული სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო ესკადრილების დახმარებით სამხედრო ძალის დემონსტრირების ინიციატივა, რადგან ის ამ მხრივ ყველაზე კარგად აღჭურვილი სახელმწიფო იყო.

ამავდროულად, რუსეთ-თურქეთის ბოლო ომის დასასრულს, ოსმალეთის იმპერიის ფლოტი არასახარბიელო ვითარებაში იმყოფებოდა – რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ იმპერია დასუსტებული იყო მე-19 საუკუნეში მომხდარი რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად, რომლებსაც საუკუნოვანი ისტორია ჰქონდათ და XVI საუკუნიდან იღებდნენ სათავეს. ამრიგად, 1875 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა და 1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის საბოლოო ომით გამოწვეულმა ფინანსურად მძიმე მდგომარეობამ, იმპერიას დიდი საზღვაო ფლოტის შენარჩუნებისა და მოდერნიზაციისთვის საჭირო რესურსები წაართვა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის საზღვაო ფლოტი სწრაფად გამოდიოდა საბრძოლო მწყობრიდან და საბრძოლო გემების შეცვლა მხოლოდ ათწლეულში ერთხელ შეეძლო (მორო, 2021, pp. 11–29; დელაროში, 2016, p. 3).

„აღსანიშნავია, რომ მინისტრისთვის წარდგენილ „Correspondance particulière“-ში დამოუკიდებელი ადგილობრივი კორესპონდენტების ანგარიშების ლექსიკური მახასიათებლების ანალიზმა გამოავლინა ლექსემები, რომლებიც განხილული პერიოდის არსებული ვითარების რეალიებს ასახვენ. დავასახელოთ, მაგალითად, ისტორიულ-ადმინისტრაციული ტერმინი - არქაიზმი „ლივა“, რომლის თარგმნა გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა: *«On nous écrit de Scuvari, 17 octobre. Depuis plusieurs jours il y a quotidiennement dans la cour de la grande mosquée des assemblées populaires dans lesquelles Riza Pacha lui-même et surtout Osman Pacha, ainsi que Hodo Pacha, nouvellement nommé Liva, s'efforce de faire valeur valoir leur influence dans le sens de la pacification»* (თარგმანი იხილეთ ზემოთ).

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ 1866 წლიდან ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული დანაყოფი სამ ინსტანციას მოიცავდა: სანჯაყი, კაზა და ვილაიეთი, რომელთაგან თითოეული რამდენიმე სანჯაყისგან შედგებოდა. ამ შემთხვევაში, სანჯაყი არის რეგიონი, ხოლო რეგიონული საბჭო არის მეჯლის იდარე ლივა. ეს ნიშნავს, რომ ლივა/Liva არჩევითი თანამდებობაა - რეგიონული საბჭოს თავმჯდომარის მსგავსი, თუ ამ რეალიას მივყვებით (მარგიევი 2008, p. 306).

დასკვნა. როგორც აჩვენებს ფრანგული დიპლომატიური დისკურსის კონსტიტუციური ნიშნების ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია საარქივო მასალების ტექსტებში და პირველად შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში, ერთ-ერთი კრიზისული ეტაპის აღმოსავლეთის საკითხის დიპლომატიური რიტორიკისთვის ლექსიკურ დონეზე დამახასიათებელია სამხედრო, იურიდიული და დიპლომატიური ტერმინოლოგიის ელემენტების არსებობა. აღნიშნული კანონზომიერება განპირობებულია ბალკანეთში არსებული დაძაბული ვითარებით და მასთან დაკავშირებული წამყვანი ევროპული სახელმწიფოების გადაწყვეტილებით, რომლებიც ერთობლივი სამხედრო ძალების დემონსტრირების გზით ცდილობდნენ მკაცრი ზეწოლის განხორციელებას დასუსტებულ ოსმალეთის იმპერიაზე ბერლინის ხელშეკრულების გადაწყვეტილებების აღსასრულებლად.

ბიბლიოგრაფია

- Aksoy, E. (2007). La francophonie en Turquie de l'Empire à nos jours. *Documents pour l'histoire du français langue étrangère ou seconde*, (38/39), 57–66.
- Ardaeva, N. V. (2018). Diplomaticheskii i politicheskii diskurs [Diplomatic and political discourse]. *Vlast'*, (5), 114–118. www.isras.ru
- Averbuch, K. Ia. (2004). *Obtchaia teoria termina* [General theory of the term]. Ivan. Gosuniversitet.
- Bağış, A. I. (1985). III George Döneminde İngiltere'nin Osmanlı İmparatorluğundaki Ekonomi Siyaseti 1760-1815. In *Türk-İngiliz İlişkileri 1583-1984 (400. Yıldönümü)*, Başbakanlık Yayını.
- Balandina, L. A., & Kuratchenkova, G. F. (2005). *Iazik diplomatii: tradizii i sovremennost* [The language of diplomacy: Tradition and modernity]. <http://www.ling-expert.ru/conference/langlaw1/langdiplomat.html>
- Berridge, G. R. (2002). *Diplomacy: Theory and practice* (2nd ed.). Palgrave.
- Berridge, G. R., & James, A. (2001). Diplomatic language. In *A dictionary of diplomacy* (p. 67). Palgrave.
- Ceban, T. (2010). Culture et pouvoir: La correspondance diplomatique au XIXe siècle. *La francopolyphonie*, (5), https://ibn.idsi.md/sites/default/files/imag_file/La%20correspondance%20diplomatique%20au%20XIXe%20si%C3%A8cle.pdf
- Cohen-Wiesenfeld, S. (2008). Le discours diplomatique dans la correspondance franco-allemande 1871-1914. *Argumentation et Analyse du Discours*, (1). DOI.org.
- Delaroche, J.-M. (2016). *Droit d'ingérence et concurrence militaire internationale en Méditerranée orientale: les puissances européennes et le maintien de l'ordre dans les Balkans, du traité de Berlin (1878) à la Première Guerre mondiale* [Doctoral dissertation, Université Charles de Gaulle - Lille III]. HAL Theses. <https://theses.hal.science/tel-01660507v1>
- Egorov, V. P. (2013). *Diplomaticheskii protocol i etiket: utcheb. posobie* [Diplomatic protocol and etiquette: A textbook]. Iuridicheskii institut MIIT. <https://miit.ru/content/%1E%D0%B1%D0%BB%D0%BE%D0%>
- Groc, G., & Çağlar, İ. (1985). *La presse française de Turquie de 1795 à nos jours: histoire et catalogue (Varia Turcica, Vol. 2)*. Editions ISIS. Inal, I. M. K. (1988). *Son asır Türk şairleri* (Vol. 4). Dergâh Yayınları.
- Kojeteva, A. S. (2012). Diplomaticheskii diskurs kak osobii vid instituzionalnogo diskursa [Diplomatic discourse as a special type of institutional discourse]. *Nauchnii vestnik Voronejskogo gosudarstvennogo arhitekturno-stroitel'nogo universiteta. Seria: Sovremennii lingvisticheskie i metodiko-didakticheskie issledovania*, (17), 54–63.
- Khorosheva, N. V., & Saakian, A. A. (2023). Spezifika perevoda franuzskih diplomaticheskikh tekstov na russkii iazik [The specifics of translating French diplomatic texts into Russian]. *Evrasiiskii gumanitarnii jurnal. Pervodovedenie*, (3), 72–84. <https://press.psu.ru/index.php/ehj/issue/view/488/313>
- Kurtchatkina, O. A. (2010). Nekotorie aspekti nazionalno-kulturnoi spezifiki politizeskogo diskursa [Some aspects of national-cultural specificity of political discourse]. *Vestnik MGLU, Seria iazikoznanie*, (10), 22–32.
- Lamizet, B. (2007). [Review of the book *Le discours diplomatique*, by C. Villar]. *Mots. Les langages du politique*, (84), 121–123. <https://doi.org/10.4000/mots.1093>
- Le Goffic, P. (1981). *Ambiguïté linguistique et activité de langage: Contribution à une étude historique et critique des conceptions sur l'ambiguïté du langage et à l'élaboration d'une théorie linguistique de l'ambiguïté, avec application au français* [Unpublished doctoral dissertation]. Université Paris VII.
- Le Goffic, P. (2021). Ambiguïté. In *Encyclopaedia Universalis*. www.universalis.fr
- Logunova, K. A. (2015). Strukturnye osobennosti diplomaticheskikh dokumentov [Structural features of diplomatic documents]. *Filologicheskie nauki. Voprosy teorii i praktiki*, 2 (44), 129–132. www.gramota.net
- Magomedova, L. A. (2008). Leksiko-stilisticheskaya kharakteristika yazyka diplomaticheskikh dokumentov XIX v. [Lexical and stylistic characteristics of the language of diplomatic documents of the 19th century]. *Izvestiya DGPU. Obshchestvennye i gumanitarnye nauki*, (2), 65–69. cyberleninka.ru
- Margiev, Z. G. (2008). *Batum vo vremena Osmanskoi imperii. Kratkii administrativnyi, statisticheskii i istoricheskii obzor g. Batumi i regiona v sostave Osmanskoi imperii* [Batumi during the Ottoman Empire. A brief

- administrative, statistical, and historical overview of Batumi and the region during the Ottoman Empire]. Alioni.
- Martens, C. de. (1822). *Manuel diplomatique ou précis des droits et des fonctions des agents diplomatiques; suivi d'un recueil d'actes et d'offices pour servir de guide aux personnes qui se destinent à la carrière politique*. Treuttel & Würtz.
- Moreau, O. (2021). Une approche comparative de la réforme de l'armée entre le centre et la périphérie de l'Empire ottoman au XIXe siècle. *Outre-Mers*, 104 (396-397), 11–29. <https://doi.org/10.3917/om.172.0011>
- Reychler, L. (1979). *Patterns of diplomatic thinking: A cross-national study of structural and social- psychological determinants*. Praeger.
- Schefer, C. (1920). *D'une guerre à l'autre*. Librairie Félix Alcan.
- Terentii, L. M. (2015). Diplomaticheskii diskurs kak osobaya forma nauchnoi kommunikatsii [Diplomatic discourse as a special form of scientific communication]. *Voprosy Psikhologicheskoi, (24)*, 177–184.
- Villar, C. (2006). *Le discours diplomatique*. L'Harmattan.
- Vujović, D.-D. (2021). La Troisième République française et le Monténégro (1871-1914). *Istorijski zapisi, (1-2)*, 109–142. <https://istorijskizapisi.me/wp-content/uploads/2021/10/VUJOVIC-La-Troisieme-Republique-francaise-et-le-Montenegro.pdf>

ელექტრონული რესურსები

- Dunaiskaya komissiya. (2004). *Dunaiskaya komissiya: 150 let svobodnogo sudokhodstva na Dunae [Danube Commission: 150 years of free navigation on the Danube]* [Brochure]. https://www.danubecommission.org/uploads/doc/publication/Broschura%202004 /DC_150_RU.pdf
- El Protocolo. (n.d.). *Diplomaticheskaya perepiska* [Diplomatic correspondence]. <https://elprotocol.wordpress.com>
- Éditions Larousse. (n.d.). *Portes de Fer [Iron Gates]*. In *Encyclopédie Larousse en ligne*. www.larousse.fr
- Karakteristika reki dunaj. [Characteristics of the Danube River]. <https://worldofscience.ru/geografija-mira/8370-karakteristika-reki-dunaj.html>.
- Ministère de l'Europe et des Affaires étrangères. (n.d.). *Archives diplomatiques: Inventaire [Diplomatic archives: Inventory]*. <https://archivesdiplomatiques.diplomatie.gouv.fr/media/207116ab-dff7-4185-a4f8-970555d4bebe4.pdf>
- Wikisource. (2021, July 26). *Documents diplomatiques français (1871-1914), série 1, tome 3, 1931 [French diplomatic documents (1871-1914), series 1, volume 3, 1931]*. [https://fr.wikisource.org/wiki/Page:Documents_diplomatiques_fran%C3%A7ais_\(1871-1914\),s%C3%A9rie_1,tome_3,1931.djvu/16](https://fr.wikisource.org/wiki/Page:Documents_diplomatiques_fran%C3%A7ais_(1871-1914),s%C3%A9rie_1,tome_3,1931.djvu/16)
- Anderson, M. S. (1966). *The Eastern Question, 1774–1923: A study in international relations*. St. Martin's Press. archive.org, pp.198-204.

ფაქტობრივი მასალა

- Archival Documents. Corpus 1.** *Ambassade Impériale Ottomane. (1880, 1 novembre)*. [Vienne]. *Archives of the Foreign Ministries of Turkey for 1850–1914 (HR_SYS_00161_000037_005_001)*. Directorate of State Archives, Istanbul, Turkey.
- Corpus 2.** *Ambassade Impériale Ottomane (a). (1880, 27 octobre)*. [Délégation. Annexe. N11724, N462. Vienne]. *Archives of the Foreign Ministries of Turkey for 1850–1914 (HR_SYS_161/37; HR_SYS_00161_000037_003_002–004)*. Directorate of State Archives, Istanbul, Turkey.
- Austria. Bundesministerium für Auswärtige Angelegenheiten. (1868). *Austrian red-book, diplomatic correspondence of the Imperial-Royal Ministry for Foreign Affairs, from November 1866 to 31st December 1867 (No. 1)*. Dulau et Company.
- Austro-Hungarian Monarchy. Ministerium des K. und K. Hauses und des Äussern. (1915). *Austro- Hungarian red book*. Press of J.C. Rankin Co.

Hungarian Red Book, English Blue Book, French Yellow Book, Russian Orange Book, Serbian Blue Book and Belgian Grey Book, the European war negotiations. (1915). F. Wyss. pp. 16–40.
Ministère des Affaires Étrangères. (1880). *Documents diplomatiques: Affaires du Monténégro (Nos 1–2)*.
Imprimerie Nationale.

საცნობარო სახელმძღვანელოები, ლექსიკონები

Dictionnaire Hachette encyclopédique illustré (Éd. 2000). (1999). Hachette Livre, p.973.
Dulcigno. (1880). *Revue des Deux Mondes*, 41, 953–959. fr.wikisource.org/1880-_tome_41.djvu/959
Vostotchnii vopros [The Eastern Question]. (1985). In Diplomaticheskii slovar v trekh tomakh [Diplomatic Dictionary in three volumes] (Vol. 1). Nauka.